საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო

რიო დე-ჟანეიროს 2016 წლის ზაფხულის XXXI ოლიმპიური თამაშების შედეგები და ოთხ წლიანი მზადების პერიოდი

მოკლე მიმოხილვა და ანალიზი

თბილისი - 2016

შესავალი

მიმდინარე წელს რიოს XXXI ოლიმპიურ თამაშებში 13 სპორტის სახეობაში (ძალოსნობა, ჭიდაობა, ძიუდო, მძლეოსნობა, ტანვარჯიში, ტყვიის სროლა, მშვილდოსნობა, ცურვა, ფარიკაობა, კანოე, ჩოგბურთი) 40 საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენი მონაწილეობდა, რაც საქართველოს ოლიმპიური მოძრაობის ისტორიაში სარეკორდო მაჩვენებელია. მანამდე ყველაზე მეტი სპორტსმენი ატლანტის 1996 წლის და სიდნეის 2000 წლის ოლიმპიურ თამაშებზე გვყავდა, 36-36 სპორტსმენი. აღსანიშნავია, რომ რიოს ოლიმპიურ თამაშებში მონაწილე სპორტსმენების რიცხვს შეემატა ისეთი სპორტის სახეობის სპორტსმენები, როგორებიცაა: კანოე, ფარიკაობა, ჩოგბურთი და მშვილდოსნობა, სადაც ათეულ წელზე მეტია ოლიმპიური თამაშების ლიცენზიანტი არ გვყოლია.

რიოს ოლიმპიურ თამაშებში ჩვენი სპორტსმენების მიერ მოპოვებული 2 ოქროს, 1 ვერცხლისა და 4 ბრინჯაოს მედალი ძალიან კარგი შედეგია, რითაც მსოფლიოს 207 ქვეყანას შორის საქართველომ 38-ე ადგილი დაიკავა.

მიუხედავად მრავალი დადებითი შედეგისა, ასევე იყო გარკვეული სახის პრობლემები, რამაც თავი რიოს ოლიმპიური თამაშების მზადების ოთხ წლიან პერიოდში და უშუალოდ ოლიმპიური თამაშების დროსაც იჩინა. პრობლემები ძირითადად უკავშირდებოდა სპორტსმენთა ფიზიკური და ფსიქოლოგიური მომზადების დონეს. ამ დონის შეჯიბრებაზე ასპარეზობის დროს განსაკუთრებით მეტი ყურადღება უნდა მიექცეს ფსიქოლოგიურ მომზადებას, რა მიმართულებითაც პრობლემები, სხვა ოლიმპიადებისგან განსხვავებით, ამ ოლიმპიურ თამაშებზე განსაკუთრებით თვალსაჩინო იყო.

ოლიმპიური თამაშების მონაწილე სპორტის სახეობებში 4 წლიანი მზადების პერიოდი შესაბამის ეროვნულ სპორტულ ფედერაციებში ინტენსიურ რეჟიმში მიმდინარეობდა, რასაც მოჰყვა არაერთი წარმატება ევროპის და მსოფლიოს ჩემპიონატებზე, რაც საბოლოო ჯამში აისახა მოპოვებულ ლიცენზიებზე.

მზადების პერიოდში სამინისტროს მიერ გამოყოფილი თანხების ოდენობა, საერთაშორისო შეჯიბრებებისა და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებები და ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეული შედეგები ეროვნული სპორტული ფედერაციების მიხედვით:

ძალოსნობის ეროვნული ფედერაცია

ძალოსნობის ეროვნულმა ფედერაციამ ბოლო წლების მანძილზე საგრძნობლად გააუმჯობესა მენეჯმენტის დონე. ასევე აღსანიშნავია ფედერაციის მენეჯმენტის ძალისხმევა სპონსორების მოზიდვის კუთხით. ფედერაციის გენერალური სპონსორი გახდა „რომპეტროლი“, რომელმაც რამდენიმე ათასი ლარი

გამოუყო ფედერაციას. გაუმჯობესებასთან ერთად იყო, ასევე ბევრი შეცდომა კერძოდ: 2016 წლის 20 წლამდე მსოფლიო ჩემპიონატზე არაორგანიზებულობის გამო ფედერაციამ ნახა დიდი ფინანსური ზარალი, ვერ მოხერხდა სასტუმროების ვალის ბოლომდე დაფარვა, ასევე ინვენტარის განბაჟების თანხა გადაუხდელია; 2015 წლის მსოფლიო ჩემპიონატზე დიდებს შორის ადგილი ქონდა რამდენიმე სპორტსმენის აშშ-ში უკანონოდ დარჩენას. რაც დადასტურდა საქართველოში არაერთი საერთაშორისო სპორტული ღონისძიების მაღალ დონეზე გამართვით, ასევე 2015 წლის საქმიანობის შეფასებაში სპორტული ორგანიზაციების აღიარებისა და დაფინანსების საბჭოს მიერ მაღალი ქულები მიიღო, საშუალო მაჩვენებლით 81 ქულა, სადაც გაერთიანებული იყო მათ მიერ მიღწეული შედეგების, კარგი მმართველობის, მასობრიობის და სხვა მიმართულებით გაწეული სამუშაოს შეფასება. აღნიშნული შეფასების საფუძველზე ძალოსნობის ეროვნული ფედერაციის 2015 წლის ბიუჯეტთან შედარებით 2016 წელს 30%-ზე მეტით გაზრდილი ბიუჯეტი დაუმტკიცდა.

სახელმწიფოს მხრიდან ბოლო 4 წელიწადში ძალოსნობის დაფინანსების ოდენობა თითქმის 4-ჯერ გაიზარდა გაიზარდა, რაც აისახა მათ ყოველწლიურ ბიუჯეტზე.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
475.500	513.300	1,700.000	1,400.000	**4,088.800**

ჯამში ძალოსნობის ფედერაციამ 4 წლიანი მზადების პერიოდში დაახლოებით 2.5 მილიონი ლარი აითვისა, რაც ძალიან ეფექტურად იყო გადანაწილებული და დასკვნით ეტაპს სრულ ფინანსურ და ორგანიზაციულ მზადყოფნაში შეხვდნენ.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	10	2	13	10	35	**61**
	ახალგაზრდები	2	1	8	15	26	
შეჯიბრება	დიდები	3	12	10	0	25	**41**
	ახალგაზრდები	2	6	4	4	16	

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა ძირითადად განსაზღვრული იყო სახელმწიფო დაფინანსების საფუძველზე, რაც ზემოთ მოყვანილ ცხრილში დეტალურად არის გაწერილი და რამაც განაპირობა მზადების შეუფერხებელი პროცესი.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	კატეგორია	შედეგი
1	ლაშა ტალახაძე	+105კგ.	**ოქრო. მ/რ**
2	ირაკლი თურმანიძე	+105კგ.	**ბრინჯაო**
3	ანასტასია ჰოტფირდი	+75კგ.	**IV-ადგილი, B-ჯგუფი**
4	გიორგი ჩხეიძე	94კგ.	-

როგორც სპორტული შედეგების ცხრილშია გაწერილი, მათ მიერ მიღწეული შედეგები ძალიან ნაყოფიერი, რაც გამოიხატა სამ წონით კატეგორიაში 4 მოპოვებულ ლიცენზიაზე, 1-ოქროს, 1-ბრინჯაოსა და დამყარებულ მსოფლიო რეკორდზე. საქართველოს მიერ ერთ ოლიმპიურ თამაშებში ამ სახეობაში მიღწეულ შედეგებში რიოს ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული წარმატებები ყველა დროის სარეკორდო მაჩვენებელია.

ოლიმპიური შედეგები საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში

ოლიმპიადა	ატლანტა 1996	სიდნეი 2000	ათენი 2004	პეკინი 2008	ლონდონი 2012
შედეგი	უმედლოდ	**ბრინჯაო**	**ოქრო**	უმედლოდ	უმედლოდ

საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში ძალოსნობაში პირველი მედალი 2000 წელს გიორგი ასანიძემ მოიპოვა და მანვე შეძლო პირველი ოქროს მოპოვება უკვე ათენის ოლიმპიურ თამაშებზე. აქ კიდევ ერთხელ ჩანს მიმდინარე წელს მიღწეული წარმატების გამოკვეთილი პროგრესი.

ჭიდაობის ეროვნული ფედერაცია

ჭიდაობის ეროვნული ფედერაციის მიერ 4 წლიანი მზადების პერიოდი მრავალი პრობლემის ფონზე მიმდინარეობდა, რაც ძირითადად გამოწვეული იყო ფედერაციის ხელმძღვანელობისა და სპორტსმენების დაპირისპირებაში. გარკვეული პერიოდი შეფერხებული იყო საწვრთნელი პროცესი სანაკრებო დონეზე, რამაც უარყოფითი გავლენა იქონია სპორტსმენების ფიზიკური მომზადების დონეზე და აღნიშნულმა პრობლემებმა თავი იჩინა ოლიმპიურ თამაშებზე. თუმცა ამ პრობლემების დარეგულირების შემდეგ მზადების პროცესი გაუმჯობესდა და ნაკრებმა გუნდებმა მრავალი დადებითი შედეგი აჩვენეს.

სახელმწიფოს მხრიდან ამ სპორტის სახეობის მხარდაჭერა ეტაპობრივად იზრდებოდა და უშუალოდ ოლიმპიურ წელს მათმა დაფინანსებამ მხოლოდ სამინისტროს მხრიდან 4 მილიონი ლარი შეადგინა, რაც წინა წლების

დაფინანსებასთან შედარებით დაახლოებით 40%-ით გაიზარდა. ფედერაციის დაფინანსება მზადების პერიოდში თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა, რამაც ჯამში 11 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
2.738.700	2.017.000	2.520.500	4.000.000	**11.276.200**

ათვისებული თანხებით მათ ამ პერიოდში ორგანიზება გაუკეთეს მრავალ საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობას და სასწავლო-საწვრთნელი შეკრებების განხორციელებას.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	15	14	18	19	66	**172**
	ახალგაზრდები	19	16	29	42	106	
შეჯიბრება	დიდები	22	22	23	21	88	**204**
	ახალგაზრდები	29	22	28	37	116	

მზადების პერიოდის დასკვნით ეტაპს ჭიდაობის ფედერაცია 11 მოპოვებული ლიცენზიით შეხვდა, რაც საკმაოდ კარგი შედეგია.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	კატეგორია		შედეგი
1	ვლადიმერ ხინჩეგაშვილი	თავისუფალი	57კგ.	**ოქრო**
2	ზურაბ იაკობაშვილი		65კგ.	**1 /4**
3	იაკობ მაქარაშვილი		74კგ.	**1 /4**
4	სანდრო ამინაშვილი		86კგ.	**1 /8**
5	ელიზბარ ოდიკაძე		97კგ.	**1 /2**
6	გენო პეტრიაშვილი		125კგ.	**ბრინჯაო**
7	შმაგი ბოლქვაძე	ბ/რომაული	66კგ.	**ბრინჯაო**
8	ზურაბ დათუნაშვილი		75კგ.	**1 /16**
9	რობერტ კობლიაშვილი		85კგ.	**1 /8**
10	რევაზ ნადარეიშვილი		98კგ.	**1 /8**
11	იაკობ ქაჯაია		130კგ.	**1 /4**

მოპოვებული მედლების კუთხით საქართველოს დელეგაციის სრული შემადგენლობიდან საუკეთესო შედეგი ჭიდაობის ფედერაციამ აჩვენა, 1-ოქროს და 2-

ბრინჯაოს მედლით. თუმცა ნაკრების პოტენციალი გაცილებით მაღალი იყო, რაც ყურადღება გასამახვილებელი მომენტია და შემდეგი საქმიანობის პროცესში აუცილებლად უნდა მოხდეს პრობლემების ზუსტი იდენტიფიცირება.

ოლიმპიური შედეგები საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში

ოლიმპიადა	ატლანტა 1996	სიდნეი 2000	ათენი 2004	პეკინი 2008	ლონდონი 2012
შედეგი	**ბრინჯაო**	**ბრინჯაო-3**	**ვერცხლი**	**ოქრო-2** **ბრინჯაო-2**	**ვერცხლი-3** **ბრინჯაო-3**

1996 წლიდან მოყოლებული ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ჭიდაობაში მიღწეულ შედეგები ძალიან შთამბეჭდავია და ამ სახეობის პოტენციალიც აშკარაა, თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ეს ფედერაცია ჭიდაობის ორ დისციპლინას აერთიანებს და შესაბამისად მედლების მოპოვების შანსებიც მეტია სხვა სპორტის სახეობებთან შედარებით.

ძიუდოს ეროვნული ფედერაცია

ძიუდოს ეროვნული ფედერაცია სტაბილურ რეჟიმში ემზადებოდა ოლიმპიური თამაშებისთვის და ამ პერიოდში მრავალი დადებითი შედეგი აჩვენა საერთაშორისო შეჯიბრებებში. დადებითი შედეგები ასევე აისახა ძიუდოს საერთაშორისო ფედერაციის რეიტინგებზე, სადაც რამდენიმე წონით კატეგორიაში ქართველი სპორტსმენები ლიდერობდნენ და ასევე ყველა წონითი კატეგორიის საუკეთესო სპორტსმენის ტიტულს თითქმის 3 წელი ქართველი სპორტსმენი ინარჩუნებდა.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა ამ სპორტის სახეობაში ძალიან მზარდია, რაც 2013 წელთან შედარებით 2016 წელს 50%-ზე მეტით იქნა გაზრდილი.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
2.112.400	2.200.000	2.203.000	4.200.000	**10.715.400**

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	15	22	20	17	74	**173**
	ახალგაზრდები	24	24	23	28	99	
შეჯიბრება	დიდები	14	17	25	12	68	**136**
	ახალგაზრდები	18	18	13	19	68	

2013 წლიდან 2016 წლის ჩათვლით ძიუდოს ფედერაციამ სახელმწიფოს მხარდაჭერით ჯამში 309 შეჯიბრება და სასწავლო-საწვრთნელი შეკრება განახორციელა.

მზადების პერიოდში რიოს ოლიმპიური თამაშებისთვის საქართველომ ძიუდოში 8 ლიცენზია მოიპოვა, მათ შორის 1 ქალების კატეგორიაში. ასევე მნიშვნელოვანი შედეგია ისიც, რომ ძიუდოს ფედერაციამ ვაჟების ყველა წონით კატეგორიაში მოახერხე ლიცენზიის მოპოვება, რაც ასევე სპორტსმენთა სწორ მზადების ციკლზე მიუთითებს.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	კატეგორია	შედეგი
1	ამირან პაპინაშვილი	60კგ.	**1 /2**
2	ვაჟა მარგველაშვილი	66კგ.	**1 /16**
3	ლაშა შავდათუაშვილი	73კგ.	**ბრინჯაო**
4	ავთანდილ ჭრიკიშვილი	81კგ.	**1 /2**
5	ვალერი ლიპარტელიანი	90კგ.	**ვერცხლი**
6	ბექა ღვინიაშვილი	100კგ.	**1 /4**
7	ადამ ოქრუაშვილი	+100კგ.	**1 /16**
8	ესტერ სტამი	70კგ.	**1 /8**

მზადების საბოლოო შედეგი მოპოვებული 1-ვერცხლის და 1-ბრინჯაოს მედალი აღმოჩნდა, რაც ამ გუნდისთვის ძალიან დაბალი შედეგია. არსებული პოტენციალი დასკვნით ეტაპზე ვერ იქნა სათანადოდ გამოყენებული. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი პრობლემები იყო ფსიქოლოგიური მომზადების კუთხით. ამ და სხვა მიმართულებით პრობლემების იდენტიფიცირება მნიშვნელოვანია მომდევნო ოლიმპიური თამაშების მზადების პროცესისთვის.

ოლიმპიური შედეგები საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში

ოლიმპიადა	ატლანტა 1996	სიდნეი 2000	ათენი 2004	პეკინი 2008	ლონდონი 2012
შედეგი	**ბრინჯაო**	**ბრინჯაო**	**ოქრო ბრინჯაო**	**ოქრო**	**ოქრო**

სამწუხაროდ მიმდინარე წელს ძიუდოში დაირღვა ოქროს მედლების მოპოვების ტრადიცია, რომელიც წინა სამ ოლიმპიადაზე გვქონდა, თუმცა მედლების რაოდენობით განმეორდა დამოუკიდებლობის ისტორიაში მოპოვებული საუკეთესო შედეგი, რომელიც ათენის ოლიმპიადაზე დაფიქსირდა.

მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია

მძლეოსნობის ეროვნული ფედერაცია შიდა ორგანიზაციული კუთხით ვითარდება, რაზეც მეტყველებს მათ მიერ საქართველოში მაღალ დონეზე ორგანიზებული არაერთი საერთაშორისო სპორტული ღონისძიება, რაშიც სახელმწიფო სრული ფინანსური და მატერიალური მხარდამჭერი იყო.

მიუხედავად აღნიშნული დადებითი შედეგებისა, მძლეოსნობის მიმართულებით ქვეყნის მასშტაბით მოყვარულ და პროფესიონალ სპორტსმენთა რიცხვი ძალიან დაბალია. ეს სახეობა თითქმის ყველა ძირითადი სპორტის სახეობის საფუძველს წარმოადგენს და ამ მიმართულებით ნაკლები დაინტერესება უარყოფითად აისახება სხვა სპორტის სახეობების შედეგებზე. თუნდაც ამ ოლიმპიურ თამაშებზე გამოვლენილი სუსტი ფიზიკური მომზადების პრობლემაც მძლეოსნობის განვითარების დაბელ დონეში შეიძლება დავინახოთ.

სახელმწიფოს მხრიდან ამ სპორტის სახეობის დაფინანსება წლების განმავლობაში ძალიან დაბალია, თუმცა ბოლო პერიოდში არსებობს დაფინანსება მატების ტენდენცია და საჭიროა მომავალში, ამ სპორტის სახეობის მოთხოვნები გაიზარდოს განვითარებასთან ერთად და სახელმწიფოს მხრიდანაც განისაზღვრება შესაბამისი ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
261.300	500.000	360.000	495.000	**1.616.300**

მზადების პერიოდში მძლეოსნობის ფედერაციამ სხვადასხვა ასაკობრივი გუნდის 80-მდე მეტი სასწავლო საწვრთნელი შეკრება განახორციელა და 50-ზე მეტ შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	7	7	10	7	31	**78**
	ახალგაზრდები	8	8	13	18	47	
შეჯიბრება	დიდები	6	12	12	5	35	**54**
	ახალგაზრდები	5	7	3	4	19	

მთლიანი 4 წლიანი მზადების პერიოდში მძლეოსნობაში 5 ლიცენზია მოიპოვა, რაც ამ სახეობისთვის დაბალი შედეგია. ოლიმპიურ თამაშებზე ამ მძლეოსნობის 24 ვაჟების და 23 ქალების სხვადსხვა დისციპლინაში იმართება შეჯიბრებები, რაც ჯამში

47 დისციპლინაა და ამ ფონზე საქართველოს მიერ მოპოვებული ლიცენზიების რაოდენობა მაქსიმალური შესაძლებლობის 10%-საც არ შეადგენს.

რაც შეეხება ოლიმპიურ თამაშებზე მიღწეულ შედეგებს, აქაც არ გვაქვს კარგი შედეგები. ეს ყველაფერი ისევ ამ სპორტის სახეობაში ჩართულ სპორტსმენთა დაბალი რაოდენობით არის გამოწვეული და პრობლემის ზუსტი იდენტიფიცირების შემთხვევაში მიზანმიმართული ნაბიჯებით შესაძლებელი გახდება ჩართულ პირთა რაოდენობის ეტაპობრივი ზრდა.

სპორტულ შედეგებს რაც შეეხება, აქ საუკეთესო შედეგი სიგრძეზე მხტომელის მე-19-ე ადგილია. ეს დადებით შედეგად ვერ ჩაითვლება, აქვე აღსანიშნავია, რომ სამმაგ ხტომაში მოასპარეზე სპორტსმენმა ყველა ცდა გააფუჭა და შედეგი ვერ დააფიქსირა. ერთადერთი შედარებით დადებითი შედეგი ქართველი მარათონლის მიერ დაფარული სრული დისტანცია და დაფიქსირებული შედეგია.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	დისციპლინა	შედეგი
1	ბაჩანა ხორავა	სიგრძეზე ხტომა	**19-ე ადგილი**
2	ვალენტინა ლიაშენკო	სიმაღლეზე ხტომა	**32-ე ადგილი**
3	ლაშა თორღვაძე	სამმაგი ხტომა	-
4	ბენიკ აბრამიანი	ბირთვის კვრა	**31-ე ადგილი**
5	დავით ხარაზიშვილი	მარათონული რბენა	**72-ე ადგილი**

ამ სპორტის სახეობის განვითარება სახელმწიფოსთან ერთად შესაბამისი სპორტის ფედერაციის და ასევე სხვა სპორტული ფედერაციების ჩართულობით უნდა მოხდეს, რაც ქვეყანაში ზოგადად სპორტის განვითარების წინაპირობა იქნება.

ამ სახეობაში დამოუკიდებლობის ისტორიაში მედალი არ გვქონია, ბოლო მედალი სეულის 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე სპრინტერ მაია აზარაშვილის მიერ მოპოვებული ბრინჯაოს მედალი აღმოჩნდა.

ტანვარჯიშის სახეობათა ეროვნული ფედერაცია

ტანვარჯიშის ეროვნული ფედერაცია ეტაპობრივად ვითარდება, რაც აისახება მათ სპორტულ შედეგებზე, ასვე მათ მიერ მოზიდულ გარე ინვესტიციებზე, რაც ძირითადად ტანვარჯიშის სპორტული ინფრასტრუქტურის რეაბილიტაციას და აღჭურვას ხმარდება.

სახელმწიფო მხრიდან ტანვარჯიშის სახეობათა ფინანსური მხარდაჭერა ყოველწლიურად იზრდება, რამაც მზადების ოთხ წლიან ციკლში ჯამში 1 მილიონ ლარზე მეტი შეადგინა.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
344.500	404.000	562.800	780.000	**1.069.100**

ტანვარჯიშის ფედერაციამ 4 დისციპლინაში მზადების პერიოდის განმავლობაში, როგორც დიდებში, ასევე ახალგაზრდებში უზრუნველყო 111 შეჯიბრში მონაწილეობა და 55 სასწავლო საწვრთნელი შეკრება. ყველა ამ ღონისძიების მაღალ დონეზე გამართვა პირველ რიგში უკავშირდებოდა რიოს ოლიმპიური თამაშებისთვის მაღალ დონეზე მომზადების პროცესს, რის გამოც ღონისძიებათა რიცხვი წლიდან წლამდე ეტაპობრივად იზრდებოდა, რათა შემაჯამებელ ეტაპზე ყველა მიმართულებით მაქსიმალურად მზად ყოფილიყვნენ სპორტსმენები.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	5	6	8	5	24	**55**
	ახალგაზრდები	8	10	10	3	31	
შეჯიბრება	დიდები	15	20	19	19	73	**111**
	ახალგაზრდები	9	9	9	11	38	

ოლიმპიურ თამაშებისთვის ტანვარჯიშის ფედერაციამ 2 ლიცენზიის მოპოვება შეძლო, ბატუტსა და მხატვრულ ტანვარჯიშში.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	დისციპლინა	შედეგი
1	სალომე ფაჟავა	მხატვრული	**14-ე ადგილი**
2	ლუბა გოლოვინა	ბატუტი	**7-ე ადგილი**

ტანვარჯიშის ორი დისციპლინაში საუკეთესო შედეგი ბატუტზე მხტომელის მიერ დაკავებული მე-7-ე ადგილია. თუმცა აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ მხატვრულ ტანვარჯიშში მოასპარეზე სპორტსმენს ფეხის ტრავმის პრობლემები, რომ არ ჰქონოდა აშკარად უკეთეს შედეგს აჩვენებდა, თუმცა ახლა რთული იქნება რაიმე კონკრეტულის ვარაუდი.

დამოუკიდებლობის ისტორიაში ამ სახეობაში მედალი არ გვქონია, ბოლოს მედალი სეულის 1988 წლის ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებზე ვლადიმერ გოგოლაძემ მოიპოვა, რომელიც გუნდურ ჩათვლაში ოქროს მედალს დაეუფლა.

სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაცია

სროლის სახეობები საქართველოში ნელი ტემპებით ვითარდება, თუმცა არსებული სპორტული ტრადიციების წყალობით ამ სპორტის მიმართ ინტერესი ყოველთვის მაღალია. მიუხედავად ყველაფრისა და აღნიშნოს, რომ დღემდე ვერ მოხერხდა ამ სპორტის სახეობისთვის სტანდარტული სასროლეთის მშენებლობა, რაც მნიშვნელოვნად აფერხებს სპორტის ამ სახეობის განვითარებას, როგორც ეროვნულ ასევე საერთაშორისო დონეზე.

სახელმწიფო მხრიდან ფინანსური და მატერიალური მხარდაჭერა ბოლო 4 წლის მანძილზე ყოველწლიურად იზრდება, რაც დადებითად აისახება ფედერაციის საქმიანობაზე. 2013 წლიდან დღემდე სროლის სახეობათა ეროვნული ფედერაციის დაფინანსებამ ჯამში 1.5 მილიონი ლარი შეადგინა. მხოლოდ სამინისტროს მიერ გამოყოფილი მიზნობრივი დაფინანსების ზრდადი დინამიკა ყოველწლიურად დაახლოებით 20%-ს შეადგენს.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
293.500	381.500	375.000	450.000	**1.500.000**

აღნიშნული დაფინანსების საშუალებით სროლის სახეობათა ეროვნული ნაკრების წევრებმა ოლიმპიური მზადების 4 წლიან პერიოდში მონაწილეობა მიიღეს 42 საერთაშორისო შეჯიბრებაში და გაიარეს 32 სასწავლო-საწვრთნელი შეკრება.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	13	3	5	8	29	**32**
	ახალგაზრდები	0	1	0	2	3	
შეჯიბრება	დიდები	4	13	10	9	36	**42**
	ახალგაზრდები	0	2	1	3	6	

ფედერაციის მიერ 4 წლიანი მოსამზადებელი პერიოდის გამავლობაში 2 ლიცენზია მოიპოვა, რითაც სროლის სახეობათა 4 დისციპლინაში მიეცათ ასპარეზობის საშუალება.

ოლიმპიურ თამაშებზე ნაჩვენები შედეგებიდან საუკეთესო 25 მეტრიდან სროლაში დაკავებული მე-6-ე ადგილი აღმოჩნდა, რაც საშუალო შედეგად შეიძლება ჩაითვალოს.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	კატეგორია	შედეგი
1	ნინო სალუქვაძე	10მ.	**34-ე ადგილი**
		25მ.	**6-ე ადგილი**
2	ცოტნე მაჭავარიანი	10მ.	**29-ე ადგილი**
		50მ.	**15-ე ადგილი**

დადებითი შედეგის ჩვენება მეტ წილად ისევ სპორტული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას უკავშირდება, რისთვისაც ფედერაციის, სახელმწიფოსა და ადგილობრივი თვითმმართველობების ერთობლივი მუშაობაა საჭირო.

ოლიმპიური შედეგები საქართველოს დამოუკიდებლობის ისტორიაში

ოლიმპიადა	ატლანტა 1996	სიდნეი 2000	ათენი 2004	პეკინი 2008	ლონდონი 2012
შედეგი	უმედლოდ	უმედლოდ	უმედლოდ	**ბრინჯაო**	უმედლოდ

დამოუკიდებლობის ისტორიაში ამ სახეობაში ერთადერთი მედალი 1988 წლის სეულის ზაფხულის ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა ნინო სალუქვაძემ მოიპოვა პეკინში.

მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაცია

საქართველოში მშვილდოსნობა სწრაფი ტემპებით ვითარდება, რაც მათ მიერ მიღწეულ შედეგებზე აისახება. მშვილდოსნობის ფინანსური მხარდაჭერა ბოლო წლების მანძილზე უპრეცედენტოდ იზრდება. მხოლოდ 2016 წელს სახელმწიფო დაფინანსება 2015 წელთან შედარებით 50%-ზე მეტით გაიზარდა.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
215.500	189.000	280.000	480.000	**1.169.000**

სახელმწიფო მხარდაჭერით მშვილდოსნობის სხვადასხვა ასაკობრივი ნაკრების წევრებმა 60-მდე სასწავლო-საწვრთნელ შეკრებაში და საერთაშორისო შეჯიბრში მიიღეს მონაწილეობა, რაც ამ სპორტის სახეობისთვის წინ გადადგმული ნაბიჯია.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	3	4	6	6	19	**22**
	ახალგაზრდები	2	0	0	1	3	
შეჯიბრება	დიდები	4	5	10	6	25	**31**
	ახალგაზრდები	3	1	1	1	6	

რიოს ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების 4 წლიანი პერიოდში ქართველმა მშვილდოსნებმა 4 ლიცენზიის მოპოვება შეძლეს. მათ შორის 1 გუნდურის და 3 ინდივიდუალურის.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	დისციპლინა	შედეგი
1	საქართველოს ნაკრები	გუნდური	**12-ე ადგილი**
2	ხათუნა ნარიმანიძე	ინდივიდუალური	**34-ე ადგილი**
3	ქრისტინე ესებუა	ინდივიდუალური	**1 /32**
4	იულია ლობჟანიძე	ინდივიდუალური	**57-ე ადგილი**

მშვილდოსნების მიერ ნაჩვენები შედეგებიდან საუკეთესო 1/32 ფინალი აღმოჩნდა, რაც უარესი შედეგია ვიდრე წინა, ლონდონის ოლიმპიადაზე იმავე სპორტსმენის მიერ 1/16 ფინალში მოხვედრა იყო, თუმცა უკეთესი მდგომარეობა გუნდური შეჯიბრების კუთხით, ამ დისციპლინაში საქართველოს ნაკრების მონაწილეობა უკვე არ არის ცუდი შედეგი.

ქეთევან ლოსაბერიძის მიერ მოსკოვის 1980 წლის ოლიმპიურ თამაშებზე მოპოვებული ბრინჯაოს მედლის მერე საქართველოს მშვილდოსნობაში მედალი არ ჰქონია. ასევე საჭიროა აქცენტი გაკეთდეს ახალგაზრდულ და ჭაბუკთა ნაკრებ გუნდებზეც, რადგან ბოლო წელს მთლიანი აქცენტი გაკეთებული იყო მხოლოდ ეროვნულ ნაკრებ გუნდზე.

სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნული ფედერაცია

სპორტის საწყლოსნო სახეობათა ეროვნულ ფედერაციაში შემავალი ოთხივე სახეობა (წყალბურთი, წყალში ხტომა, სინქრონული ცურვა, ცურვა) ოლიმპიური თამაშების პროგრამაშია და შესაბამისად ამ ფედერაციის როლი მაღალი მიღწევების სპორტში ძალიან მაღალია. თუმცა გარკვეულ სახეობებში მრავალი ათეული წელია ოლიმპიური ლიცენზიანტი არ გვყავს, რაზეც პირველ რიგში ფედერაციის მხრიდან უნდა გამახვილდეს ყურადღება.

სახელმწიფო მხრიდან ფედერაციის ფინანსური მხარდაჭერა 2013 წელთან შედარებით 100%-ზე მეტით არის გაზრდილი.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
950.800	1.702.000	1.727.000	1.900.000	**6.279.800**

ფედერაციამ გაზრდილი დაფინანსებით 2013 წლიდან დღემდე მრავალი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება განახორციელა. ასევე სახელმწიფოს მხარდაჭერით მზადების ოთხ წლიან პერიოდში ცურვის ნაკრების წევრებმა 60-მდე საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა და გაიარეს 30-ზე მეტი სასწავლო-საწვრთნელი შეკრება.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა ცურვის სახეობაში:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	6	3	6	5	20	**33**
	ახალგაზრდები	5	2	3	3	13	
შეჯიბრება	დიდები	8	8	15	7	38	**57**
	ახალგაზრდები	7	6	4	2	19	

რიოს ოლიმპიურ თამაშებში საწყლოსნო სახეობებიდან საქართველომ მხოლოდ ცურვაში მოახერხა ორი ლიცენზიის აღება, რაც ფედერაციისთვის საკმაოდ დაბალი შედეგია. მთლიანად ფედერაციისთვის მხოლოდ ცურვაში აღებული ლიცენზია არ არის დამაკმაყოფილებელი შედეგი და ძალიან დასანანია წყალში მხტომელთა ნაკრებისგან ხელიდან გაშვებული შანსი მოხვედრილიყვნენ ოლიმპიურ თამაშებზე. ხოლო რაც შეეხება წყალბურთს, მათი ოლიმპიადაზე მოხვედრა გაცილებით რთულია და ამ ეტაპზე ევროპის ჩემპიონატზე რეგულარული მონაწილეობაც კი დიდ წინგადადგმული ნაბიჯია.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	დისციპლინა	შედეგი
1	ირაკლი რევიშვილი	თავისუფალი	**45-ე ადგილი**
2	თეონა ბოსტაშვილი	ბრასი	**43-ე ადგილი**

საბოლოოდ ორივე მოცურავემ თითქმის ერთნაირი შედეგი დააფიქსირა (43, 45). ცურვის და სხვა საწყლოსნო სახეობებში არსებული შედეგების გამოსასწორებლად საჭიროებს სახელმწიფოსა და ფედერაციის ერთობლივი მუშაობით ერთიანი

პოლიტიკის გატარება და მომავალი, ტოკიოს ოლიმპიური თამაშებისთვის გეგმაზომიერი მომზადება.

თუ გავითვალისწინებთ იმ ფაქტს, რომ ცურვაში ერთადერთი მედალოსანი 1956 წლის მელბურნის ოლიმპიურ თამაშებზე გვყავდა (ბრინჯაოს მედალი), არსებული მდგომარეობა საგანგაშო ნამდვილად არაა და შეიძლება გეგმაზომიერი მუშაობით სპორტის ამ სახეობაში რეალური პროგრესის ჩვენება.

ფარიკაობის ფედერაცია

ფარიკაობის ფედერაცია ბოლო წლებში ბევრი მიმართულებით განვითარდა. ფედერაციამ საქართველოში მაღალ დონეზე უმასპინძლა მსოფლიო თასის გუნდურ პირველობას. ქართველმა მოფარიკავეებმა სახელმწიფოსა და ფედერაციის მხარდაჭერით საერთაშორისო შეჯიბრებებში მიაღწიეს მაღალ შედეგებს.

ფედერაციის განვითარება მეტწილად განაპირობა მაღალი დონის სპორტული ობიექტების მშენებლობამ და სახელმწიფოს მხრიდან ფედერაციის ბიუჯეტის გაზრდამ, რომელიც 2013 წელთან შედარებით 100%-ზე მეტით არის გაზრდილი.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
192.000	590.400	349.800	400.000	**1.532.200**

წინა წლებთან შედარებით შეკრებებისა და შეჯიბრებების რაოდენობაც საგრძნობლად არის გაზრდილი, რაც დადებითად აისახება მოფარიკავეების მომზადებაზე.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	1	5	4	3	13	**15**
	ახალგაზრდები	0	0	0	2	2	
შეჯიბრება	დიდები	3	11	11	7	32	**51**
	ახალგაზრდები	5	4	6	4	19	

რიოს ოლიმპიადაში მონაწილეობისთვის ხმლით მოფარიკავემ მოახერხა ლიცენზიის მოპოვება, რაც ატლანტის ოლიმპიადის მერე პირველი ლიცენზია აღმოჩნდა ამ სახეობაში. ამდენი წლის მერე მიღწეული ეს შედეგი ძალიან კარგის მანიშნებელია და ტოვებს იმედს იმისა, რომ მომავალ ოლიმპიადებზეც იასპარეზებს ერთი ან რამდენიმე მოფარიკავე. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ოლიმპიურ

თამაშებზე ჩვენი სპორტმენის მხრიდან ლიცენზიის მოპოვება, პირველ რიგში განაპირობა მწვრთნელთა და ფსიქოლოგთა სწორმა მუშაობამ და პოტენციალიც გაცილებით დიდი იყო ვიდრე 1/8 ფინალში მონაწილეობა.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	დისციპლინა	შედეგი
1	სანდრო ბაზაძე	ხმალი	**1 /8**

ქართველი მოფარიკავის მიერ ნაჩვენები ეს შედეგი 1988 წლის (სეული, ვლადიმერ აფციაური - ოქრო) მერე საუკეთესოა, რაც ძალიან დადებით შედეგად უნდა ჩაითვალოს. აღნიშნული შედეგიც ფედერაციის განვითარების კიდევ ერთი დასტურია, რაშიც დიდია სახელმწიფოს წვლილი.

დამოუკიდებლობის ისტორიაში ფარიკაობაში საქართველოს მედალოსანი არ ჰყოლია, ხოლო მიმდინარე წელს ნაჩვენები შედეგი საუკეთესოა.

კანოეს ეროვნული ფედერაცია

კანოეს ეროვნული ფედერაციის მთავრი პრობლემა ინფრასტრუქტურის და სპორტული ბაზების სიმცირეა, თუმცა მიუხედავად ყველაფრისა ფედერაცია ახერხებს განვითარებაზე მუშაობას და ბოლო წლებში რამდენიმე მნიშვნელოვანი პროგრამა განახორციელა.

სახელმწიფოს ფინანსური მხარდაჭერა 2012 წლამდე თითქმის არ ჰქონია, 2013 წლიდან აღნიშნული მიმართულებით სიტუაცია გამოსწორდა და ყოველწლიურად უმჯობესდება. სახელმწიფოს მხრიდან 2013 წელთან შედარებით მათი დაფინანსება თითქმის სამჯერ არის გაზრდილი.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
41.200	48.300	142.700	145.000	**377.200**

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	1	5	3	4	13	**17**
	ახალგაზრდები	0	0	2	2	4	
შეჯიბრება	დიდები	0	3	7	0	10	**25**
	ახალგაზრდები	1	0	1	3	5	

2013 წლიდან ეტაპობრივად იზრდება კანოეს ნაკრების სპორტსმენების შეკრებებისა და შეჯიბრებების რიცხვი, რაც განპირობებული სახელმწიფო მხარდაჭერის ეტაპობრივი ზრდით.

ქართველმა სპორტსმენმა მოახერხა რიოს ოლიმპიური თამაშებზე ლიცენზიის მოპოვება, რაც აქამდე ვერცერთმა საქართველოს სახელით მოასპარეზე სპორტსმენმა ვერ შეძლო. ამ სახეობაში მოპოვებული ისტორიული ლიცენზია, სპორტსმენთან ერთად ფედერაციისა და სამინისტროს სწორი მუშაობის შედეგია.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	დისციპლინა	შედეგი
1	ზაზა ნადირაძე	სპრინტი 200მ.	**5-ე ადგილი**

როგორც უკვე აღვნიშნეთ კანოეში მოპოვებული ლიცენზია უკვე კარგი შედეგია, თუმცა ფინალურ ეტაპზე მოპოვებულმა მე-5-ე ადგილმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ეს შედეგი პირველ რიგში ფედერაციას და სახელმწიფოს ავალდებულებს ამ სახეობის მიმართ მეტი ყურადღება გაამახვილოს და შესაძლებლობების ფარგლებში მაქსიმალურად შეუწყოს ხელი ამ სახეობის უფრო მეტ განვითარებას და პოპულარიზაციას. ასევე აუცილებელია სპორტული ბაზებს მშენებლობა, კერძიდ ქალაქ ფოთში, სადაც სხვა ქვეყნის სპორტსმენებიც შეძლებენ ვარჯიშს, რაც ხელს შეუწყობს ამ სახეობაში ჩართული სპორტსმენების რაოდენობის ზრდას.

ჩოგბურთის ფედერაცია

ჩოგბურთის ფედერაციას ბოლო წლებთან შედარებით ყველაზე აქტიური მიმდინარე წელი ჰქონდა. კარგ დონეზე უმასპინძლეს თბილისში გამართულ დევისის თასებს და რამდენიმე საერთაშორისო შეჯიბრებაში ქართველმა ჩოგბურთელებმა კარგი შედეგი აჩვენეს.

სამინისტროს მხრიდან ჩოგბურთის ფინანსური მხარდაჭერის ბოლო ოთხი წლის ჯამურმა თანხამ დაახლოებით 2.5 მილიონი ლარი შეადგინა, რაც ამ სპორტის სახეობის განვითარებისთვის სახელმწიფოს მხრიდან წინგადადგმული ნაბიჯია. ფედერაციის ბიუჯეტი 2013 წელთან შედარებით თითქმის 100%-ით არის გაზრდილი.

დაფინანსება:

2013	2014	2015	2016	სულ
475.500	513.300	644.800	800.000	**2.433.600**

დაფინანსებასთან ერთად ავტომატურად იზრდება შეკრებებისა და შეჯიბრებების რაოდენობა, რაც ყოველწლიურად უფრო მეტ სპორტსმენს აძლევს თავის გამოჩენის შანსს. ბოლო 4 წლიანი ოლიმპიური მზადების ციკლის პერიოდში ქართველმა ჩოგბურთელებმა 350-მდე საერთაშორისო შეჯიბრებაში მიიღეს მონაწილეობა. მათ შორის სხვადასხვა ასაკობრივი და ეროვნული ნაკრების წევრმა ჩოგბურთელებმა 2015 და 2016 წლებში წინა წლებთან შედარებით დაახლოებით 2-ჯერ მეტ საერთაშორისო შეჯიბრებაში შეძლეს ფედერაციის დაფინანსებით მიეღოთ მონაწილეობა.

შეჯიბრებებისა და შეკრებების რაოდენობა:

		2013	2014	2015	2016	სულ	
შეკრება	დიდები	2	1	0	0	3	**7**
	ახალგაზრდები	1	2	1	0	4	
შეჯიბრება	დიდები	26	30	54	56	166	**341**
	ახალგაზრდები	41	43	48	43	175	

ოთხწლიანი მზადების დასკვნით ეტაპზე ასპარეზობის უფლების მოპოვება მხოლო ერთმა სპორტსმენმა შეძლო, რაც წინა ოლიმპიურ თამაშებთან შედარებით გაუარესებული შედეგია და ამ მიმართულებით მეტი მუშაობაა საჭირო.

სპორტული შედეგები:

N	სპორტსმენი	შედეგი
1	ნიკოლოზ ბასილაშვილი	**I რაუნდი**

ჩვენი სპორტსმენი ასპარეზობას პირველივე რაუნდში გამოეთიშა. ამ შედეგთან ერთად მოპოვებული მხოლოდ 1 ოლიმპიურ ლიცენზიასაც თუ გავითვალისწინებთ შეიძლება ითქვას, რომ ფედერაციას მაღალი მიღწევების მიმართულებით ბევრი პრობლემები აქვს და საჭიროა კონკრეტულად მოხდეს მომდევნო ოთხწლიან პერიოდში შესასრულებელი სამუშაოების დაგეგმვა და შესრულება.

ოლიმპიური თამაშების ისტორიაში საქართველომ ჩოგბურთში ერთადერთი მედლის მოპოვება შეძლო (1992 წელი, ბარსელონა, ლეილა მესხი - ბრინჯაო).

დასკვნა

რიოს ოლიმპიურმა თამაშებმა ბევრ წარმატებასთან ერთად დაგვანახა მრავალი პრობლემა, რომლის მოგვარების მიზნით საჭიროა რამდენიმე ძირითადი მიმართულებით გაიწეროს სამოქმედო გეგმა და მოხდეს ეტაპობრივი განხორციელება. სამოქმედო გეგმა უნდა იყოს მინიმუმ 4 წლიანი და პრობლემების გადაჭრასთან ერთად მიზნად უნდა ისახავდეს წარმატების მიღწევას, როგორც ოლიმპიურ, ასევე ევროპისა და მსოფლიოს ჩემპიონატებზე.

აქვე გვინდა აღვნიშნოთ, რომ მზადების 4 წლიან პერიოდში, ზაფხულის ოლიმპიური სახეობებისთვის და მათ შორის ოლიმპიური კომიტეტისთვის (იხილეთ დანართები N1 და N3) ჯამში სახელმწიფოს მხრიდან 150 მილიონ ლარამდე იქნა გამოყოფილი.

პრობლემები, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ძირითადად უკავშირდებოდა სპორტსმენთა ფიზიკურ და ფსიქოლოგიურ მომზადებას, მათი მომზადების ეტაპების დარღვევას და ზოგ შემთხვევაში მწვრთნელების არასწორ მოქმედებას.

პირველ რიგში ყურადღება უნდა მივაქციოთ იმ ფედერაციებს, რომლებსაც შესაძლებლობა ჰქონდა მოეპოვებინათ ლიცენზია და მონაწილეობა მიეღოთ წლევანდელ ზაფხულის ოლიმპიურ თამაშებში. ასეთი, სახელმწიფოს მიერ აღიარებული 73 სპორტული ორგანიზაციიდან (ფედერაცია, ასოციაცია, კავშირი, კომიტეტი და სხვა) 27 ფედერაციაა, რომელთა ნახევარზე მეტმა (15 ფედერაცია, მთლიანი რაოდენობის 55.5%) ვერ შეძლო ოლიმპიური ლიცენზიის მოპოვება (იხილეთ დანართი N3). მიუხედავად იმისა, რომ წლევანდელ ოლიმპიური თამაშებზე ჩვენს გუნდში სპორტსმენთა რეკორდულად მაღალი რაოდენობა იყო წარმოდგენილი, პრობლემა მაინც თვალსაჩინოა და ზაფხულის ოლიმპიური სპორტის სახეობების შესაბამისი ფედერაციების უმეტესობას, გარკვეული პრობლემები აქვს მაღალი მიღწევების სპორტის განვითარების კუთხით.

მომდევნო ოლიმპიურ თამაშებს, როგორც უკვე ცნობილია კიდევ 5 სახეობა დაემატა (კარატე, მეკლდეურობა, ბეისბოლი, სერფინგი, სკეიტბორდი) რომელთაგან 3 სახეობაში საქართველოში მოქმედებს შესაბამისი სპორტის სახეობის ფედერაცია (კარატეს ეროვნული ფედერაცია, მეკლდეურობის ეროვნული ფედერაცია, ბეისბოლისა და სოფტბოლის ეროვნული ფედერაცია), რომლებიც აღიარებული არიან სამინისტროს მიერ. შესაბამისად მომდევნო ოლიმპიადის ლიცენზიების მოსაპოვებლად სამინისტროს მიერ აღიარებული 30 სპორტული ორგანიზაცია (ფედერაცია, ასოციაცია, კავშირი) იბრძოლებს.

აღნიშნული ძირითადი პრობლემების გარდა კიდევ მრავალი პრობლემები გამოვლინდა, როგორც ფედერაციების (არასწორად დაგეგმილი მზადების პერიოდი, შიდა დაპირისპირებები, არასწორი მენეჯმენტი, პრობლემების არასწორი იდენტიფიცირება, მწვრთნელების არასათანადო კვალიფიკაცია, სპორტსმენთა მომზადებისთვის არასათანადო პირობების შექმნა და სხვა), ასევე სახელმწიფოს

მხრიდან (სპორტის ზოგიერთი ოლიმპიური სახეობებისთვის არარსებული ან გაუმართავი სპორტული ინფრასტრუქტურა, სახელმწიფო პოლიტიკის შეფერხებული განხორციელება, დაუხვეწელი საპრემიო სისტემა, სპორტსმენთა უფლებების დაცვის დაბალი ხარისხი, სპორტის საკანონმდებლო ბაზის გაუმართაობა და სხვა), ყველა პრობლემის მოგვარება ერთიანი გეგმით უნდა მოხდეს, რადგან ცალკეული პრობლემის ლოკალური გადაჭრით, ძირითად პრობლემებს ვერ დავძლევთ და შესაბამისად შედეგების მხრივაც ვერ გვექნება განსაკუთრებული წინსვლა.

ერთიანი სამოქმედო გეგმის ძირითადი ნაწილი სპორტული ფედერაციების მიერ იქნება განსახორციელებელი, მაგრამ არის საკითხები, რომლის მოგვარებაშიც ძირითადად სახელმწიფო უნდა ჩაერთოს. მთავარი კომპონენტი იქნება ოლიმპიური მზადების სპეციალური სახელმწიფო პროგრამის შემუშავება, რომლის სამოქმედო გეგმის ნაწილში გაიწერება ოლიმპიური სპორტის სახეობების ეროვნული ფედერაციების მიერ განსახორციელებელი სამუშაოები, რომელიც დაუკავშირდება ოლიმპიური თამაშებისთვის მზადების ოთხ წლიან ციკლს.

ევროპის და ჩრდილოეთ ამერიკის ქვეყნების მაგალითზე არსებობს „ოლიმპიური მედლების“ სახელმწიფო პროგრამები, რაც მხოლოდ მაღალ მიღწევებზე და ოლიმპიურ მედლებზე არის კონცენტრირებული. მსგავსი პროგრამის საქართველოში დანერგვის აუცილებლობა უკვე მრავალი წელია დგას, რომლის განხორციელების პირველი ეტაპი უნდა დაუკავშირდეს „ოლიმპიური ცენტრის“ შექმნას, რომელშიც სპორტულ ინფრასტრუქტურასთან და ბაზებთან ერთად გაერთიანებული იქნება სპორტსმენთა მომზადებაზე და ტალანტების აღმოჩენაზე პასუხისმგებელი ექსპერტთა ჯგუფი. ჯგუფის შემადგენლობა სპორტის მენეჯერებთან და სპორტსმენთა საერთო ფიზიკური მომზადების სპეციალისტებთან ერთად, სპორტის ექიმებით და ფსიქოლოგებით იქნება დაკომპლექტებული. ექსპერტები უზრუნველყოფენ სპორტსმენთა მზადებისთვის საჭირო ყველა კომპონენტის მოგვარებას, რაც ძირითადად განხორციელება „ოლიმპიური ცენტრისა“ და მათ მიერ აკრედიტებული სპორტულ ბაზენზე და სპორტული მედიცინისა და რეაბილიტაციის ცენტრებში.

საქართველოს მასშტაბით ტალანტების აღმოჩენის მიზნით „ოლიმპიური ცენტრი“ ყოველწლიურად ოლიმპიურ სახეობებში გამოაცხადებს ღია შეჯიბრებებს, ასევე მობილური ჯგუფები დააკვირდებიან სხვადასხვა რეგიონში გამართულ შესაბამის სპორტულ პირველობებსა და ჩემპიონატებს.

„ოლიმპიური ცენტრი“ პასუხისმგებელი იქნება „ოლიმპიური მედლების“ სახელმწიფო პროგრამის ეფექტიან განხორციელებაზე, რაზეც წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ მოამზადებს შესაბამის ანგარიშებს, რომელიც განხილულ იქნება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროსა და პარლამენტის სპორტისა და ახალგაზრდულ საკითხთა კომიტეტის, ასევე ოლიმპიურ კომიტეტთან და ოლიმპიური სპორტის სახეობების სპორტულ ორგანიზაციებთან.

„ოლიმპიური მედლების“ სახელმწიფო პროგრამის პირველი ეტაპის (ოლიმპიური ცენტრის მშენებლობა და კვალიფიციური კადრების მოზიდვა, გადამზადება) წარმატებით დასრულების შემდეგ უნდა მოხდეს იმ სპორტის სახეობების შერჩევა და გეგმაზომიერი მუშაობა, რომელთაც მომდევნო ოლიმპიურ თამაშებზე ასპარეზობისა და შედეგების მიღწევისთვის შესაძლებლობები გააჩნიათ.

ოლიმპიურ თამაშებზე შედეგების მიღწევა არ არის ერთი ან ორწლიანი მუშაობის შედეგი და ეს მრავალწლიანი შრომა უნდა მოექცეს ერთიან გეგმაში, ამ მიმართულებით მომუშავე ჯგუფები და პროცესებზე გავლენის მქონე ყველა აქტორი ერთიანი, მრავალწლიანი გეგმის ირგვლივ უნდა გაერთიანდეს. ერთიანი მუშაობის შედეგად მიღწეული წარმატების მთავარი კომპონენტი სახელმწიფო პროგრამის შემუშავება და ეფექტიანი დანერგვა იქნება.

სპორტის დაფინანსება და მიღწეული შედეგები

N	სახეობა	მონაწილე	დაფინანსება (ათას ლარებში)					შედეგი		
			2013	2014	2015	2016	სულ	კატეგორია	ადგილი	საუკეთესო
1	ძალოსნობა	4	475.5	513.3	1,700.0	900	**4,088.8**	75-ზე მეტი	4-B	**1 ოქრო 1 ბრინჯაო მ/რ**
								94კგ.	0	
								105-ზე მეტი	1 მ/რ	
								105-ზე მეტი	3	
2	ჭიდაობა	11	2,738.7	2,017	2,520.5	4,000.0	**11,276.2**	თავისუფალი 57კგ.	1	**1 ოქრო 2 ბრინჯაო**
								65კგ.	1/4	
								74კგ.	1/4	
								86კგ.	1/8	
								97კგ.	1/2	
								125კგ.	3	
								ბ/რომაული 66კგ.	3	
								75კგ.	1/16	
								85კგ.	1/8	
								98კგ.	1/8	
								130კგ.	1/4	
3	ძიუდო	8	2,112.4	2,200.0	2,203.0	4,200.0	**10,715.4**	60კგ	1/2	**1 ვერცხლი 1 ბრინჯაო**
								66კგ.	1/16	
								73კგ.	3	
								81კგ.	1/2	
								90კგ.	2	
								100კგ.	1/4	
								100-ზე მეტი	1/16	
								70კგ.	1/8	
4	მძლეოსნობა	5	261.3	500	360	495	**1,616.3**	ხტომები სიგრძეზე	19	**19**
								სიმაღლეზე	32	
								სამმაგი	0	
								ბირთვის კვრა	31	
								მარათონი	72	
5	ტანვარჯიში	2	344.5	404	562.8	780	**2,091.3**	მხატვრული	14	**7**
								ბატუტი	7	
6	ტყვიის სროლა	2	293.5	381.5	375	450	**1500**	10მ.	34	**6**
								25მ.	6	
								10მ.	29	
								50მ.	15	
7	მშვილდოსნობა	3	215.5	189	284.6	480	**1,169.1**	გუნდური	12	**12**
								ინდივიდუალ.	34	**1/32**
									1/32	
									57	
8	ცურვა	2	950.8	1,702	1,727	1,900	**6,279.8**	თავისუფალი	45	**43**
								ბრასი	43	
9	ფარიკაობა	1	192	590.4	349.8	400	**1,532.2**	ხმალი	**1/8**	
10	კანოე	1	41.2	48.3	142.7	145	**377.2**	200მ.	**5**	
11	ჩოგბურთი	1	475.5	513.3	644.8	800	**2,433.6**	**I რაუნდი**		

დანართი N2

სპორტის სპორტსმენები და მიღწეული შედეგები

N	სპორტსმენი	სპორტის სახეობა	კატეგორია		შედეგი	ადგილი
1	**ლაშა ტალახაძე**	ძალოსნობა	105-ზე მეტი		473 კგ. **ოქრო, მ/რ**	**1**
2	**ირაკლი თურმანიძე**		105-ზე მეტი		448კგ. **ბრინჯაო**	**3**
3	გიორგი ჩხეიძე		94კგ.		0	0
4	ანასტასია ჰოტფირდი		75-ზე მეტი		248კგ.	4-B
5	**ვლადიმერ ხინჩეგაშვილი**	თავისუფალი ჭიდაობა	57კგ.		**ოქრო**	**1**
6	**გენო პეტრიაშვილი**		65კგ.		1/4	-
7	ელიზბარ ოდიკაძე		74კგ.		1/4	-
8	სანდრო ამინაშვილი		86კგ.		1/8	-
9	ზურაბ იაკობაშვილი		97კგ.		1/2	-
10	იაკობ მაკარაშვილი		125კგ.		**ბრინჯაო**	**3**
11	**შმაგი ბოლქვაძე**	ბერძნულ რომაული ჭიდაობა	66კგ.		**ბრინჯაო**	**3**
12	ზურაბ დათუნაშვილი		75კგ.		1/16	-
13	რობერტ კობლიაშვილი		85კგ.		1/8	-
14	რევაზ ნადარეიშვილი		98კგ.		1/8	-
15	იაკობ ქაჯაია		130კგ.		1/4	-
16	ამირან პაპინაშვილი	ძიუდო	60კგ		1/2	-
17	ვაჟა მარგველაშვილი		66კგ.		1/16	-
18	**ლაშა შავდათუაშვილი**		73კგ.		**ბრინჯაო**	**3**
19	ავთანდილ ჭრიკიშვილი		81კგ.		1/2	-
20	**ვარლამ ლიპარტელიანი**		90კგ.		**ვერცხლი**	**2**
21	ბექა ღვინიაშვილი		100კგ.		1/4	-
22	ადამ ოქრუაშვილი		100-ზე მეტი		1/16	-
23	ესტერ სტამი		70კგ.		1/8	-
24	ბაჩანა ხორავა	მძლეოსნობა	ხტომები	სიგრძეზე	7.77მ.	19
25	ვალენტინა ლიაშენკო			სიმაღლეზე	1.80მ.	32
26	ლაშა თორღვაძე			სამმაგი	0	-
27	ბენიკ აბრამიანი		ბირთვის კვრა		18.72მ.	31
28	დავით ხარაზიშვილი		მარათონი		2:20.47წ.	72
29	სალომე ფაჟავა	ტანვარჯიში	მხატვრული		69.115	14
30	ლუბა გოლოვინა		ბატუტი		51.01	7
31	ნინო სალუქვაძე	ტყვიის სროლა	10მ.		377	34
			25მ.		14	6
32	ცოტნე მაჭავარიანი		10მ.		574	29
			50მ.		552	15
33	ხათუნა ნარიმანიძე	მშვილდოსნობა	გუნდური		1/8	-
			ინდივიდუალ.		1/32	-
34	ქრისტინე ესებუა		გუნდური		1/8	-
			ინდივიდუალ.		1/32	-
35	იულია ლობჟანიძე		გუნდური		1/8	-
			ინდივიდუალ.		1/32	-
36	ირაკლი რევიშვილი	ცურვა	თავისუფალი		400მ. 4:00.56	45
37	თეონა ბოსტაშვილი		ბრასი		100მ. 1:22.91წ.	43
38	სანდრო ბაზაძე	ფარიკაობა	ხმალი		1/8	-
39	ზაზა ნადირაძე	კანოე	სპრინტი 200მ.		39.81 წ.	5
40	ნიკოლოზ ბასილაშვილი	ჩოგბურთი	ინდივიდუალ.		I რაუნდი	-

დანართი N3

სამინისტროს მიერ აღიარებული სპორტული ორგანიზაციების ნუსხა რომელთაც ვერ შეძლეს ოლიმპიური თამაშებისთვის ლიცენზიის მოპოვება

N	სპორტული ორგანიზაცია	დაფინანსება (ათას ლარებში)				
		2013	2014	2015	2016	სულ
1	რაგბის კავშირი	5,000.0	9,523.1	14,231.1	11,125.0	39,879.2
2	ფეხბურთის ფედერაცია	7,210.6	6,168.7	7,079.4	7,000.0	27,458.7
3	კალათბურთის ეროვნული ფედერაცია	2,353.8	2,432.4	7,372.0	7,000.0	19,158.2
4	ხელბურთის ეროვნული ფედერაცია	597	537.6	1,048.0	1,140.0	3,322.6
5	კრივის ეროვნული ფედერაცია	306.8	530	665	775	2,276.8
6	ფრენბურთის ეროვნული ფედერაცია	89	194.4	430	500	1,213.4
7	ტაეკვონდოს ფედერაცია	92.5	149.3	211.7	220	673.5
8	ველოსპორტის ეროვნული ფედერაცია	89.8	110	170	172	541.8
9	საცხენოსნო სპორტის ეროვნული ფედერაცია	40.2	53	85.7	95	273.9
10	თანამდეროვე ხუთჭიდისა და ტრიატლონის ეროვნული ფედერაცია	30.3	48.5	79.1	80	237.9
11	მაგიდის ჩოგბურთის ეროვნული ფედერაცია	7.6	0	65.3	80	152.9
12	ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაცია	14.8	23.5	48.5	50	136.8
13	ჰოკეის (ბალახის) ფედერაცია	19.5	20	35	35	109.5
14	ბადმინტონის ეროვნული ფედერაცია	0	0	28.5	35	63.5
15	გოლფის ფედერაცია	0	0	0	0	0
						95,498.7

ოლიმპიური კომიტეტის დაფინანსება 4 წლიანი მზადების პერიოდში

სპორტული ორგანიზაცია	დაფინანსება (ათას ლარებში)				
	2013	2014	2015	2016	სულ
საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი	1,282.3	1,280.9	2,000.0	4,200.0	8,763.2